ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 138

8 მაისი

"---"-------- 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და სსიპ " სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" 2015 წლის 05 მარტის N.º 05/11960 წერილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" მოთხოვნა და სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისი, მთაწმინდის პარკი, ნაკვეთი N02/022, N01.15.07.002.036. საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, შემდგომში სსიპ " საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთვის" გადაცემის მიზნით.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი